1877—1895

№ 99

შაბათი, 13 მაისი 1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

№ 99

შაბათი, 13 მაისი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კაბინეტი კბილის ექიმთ

ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ძხ. დ. ილარიონოვისა.

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ზდა საღამოს 4—7 საათამდე.

## ახალი ამბავი

*** დღე არ გავა, რომ ცხენის რკინის გზაზედ ტფილისში დიდი უსიამოვნება რამ არ მოხდეს. ხოლო საგანი უსიამოვნებისა თითქმის ყოველთვის ის არის, რომ მანდილოსნებს ძვირად სთავაზობენ ადგილს ვაგონზედ მამაკაცები.

მართალია, რაკი მოგზაური ადგილის ფასს გადაიხდის, უფლება აქვს იჯდეს თავისს ალაგზედ, მაგრამ არც ის არის ძნელი გასაგები, როდესაც მან დილოსანი თავზედ გადგიათ, ადგეთ და ადგილი უთავაზოთ. ასეა ყოველგან, და, საკვირველია, რატომ ტფილელებმა ვერ შეიგნეს ეს უბრალო ზრდილობის წესი ამდენს ხანს? ამე[illegible] ქალის პატივისცემა იქამდის არის მიღწეული, რომ თუ სასტუმროში მოსულმა მანდილოსანმა ნომერი ვერ იშოვნა, მამაკაცები, რომელნიც ამ სასტუმროში დგანან, ვალდებულნი არიან უთავაზონ თავისი ნომერი და თითონ სხვაგან ეძიონ ბინა.

ჩვენ გვგონია, რომ ურიგოს არ იზამდა ტრამვაის გამგეობა, ასეთი განცხადება გაეკრა ვაგონებზედ:

„როდესაც მანდილოსანისთვის დასაჯდომი ადგილი აღარ არის ვაგონებზედ, გამგეობა სთხოვს მამაკაცთ თავისი ადგილი უთავაზონ და თითონ ფეხზედ დადგნენ“. იქნება ამ მოწოდებამ გასჭრას და ტყაპა-ტყუპი, რომელიც ხშირად არის მამაკაცთ შორის ვაგონებზედ ამ საგნის გამო, მოისპოს!

*** ერთს ცნობილს ქართველს ქართულს ენაზედ შეუდგენია ისტორიული წერილი, რომელშიაც აღნუსხულია ყველა იმ ევროპიელთა მოგზაურთა ცნობანი, რომელთაც-კი საქართველოში უმოგზაურნიათ, საქართველოს შესახებ ისტორიული წერილები დაუწერიათ და სადმე დაუბეჭდავთ. ამას გარდა, წიგნში მოყვანილია მეტად საინტერესო ცნობები, თუ მეფე ერეკლემ როდის დაიწყო ინგლისში მიწერ-მოწერა და საუბარი საქართველოს შესახებ. ეს აღწერა დასაბეჭდად არის მომზადებული და მალეც გამოვა ცალკე წიგნად.

*** ჩვენ მივიღეთ ფული „გიორგი მეფის ცხოვრების“ დასაკვეთად შემდეგის პირებისაგან: კნ. ელისაბედ გრიგოლის ასულის საგინოვისაგან 1 მ., სპირიდონ მთვარელიშვილისაგან—2 მ. დავლ. კიფიანისაგან—1 მ.

*** ქართულს ენაზედ უხეირო წიგნების ბეჭდვის საქმეს ბოლო არ ელება. ამ მოკლე დროში ტფილისში გამოვიდა ცალკე წიგნად „სიზმრის ახსნა“ შედგენილი ახპატელოვისა, მეთოთხმეტე გამოცემა. ეს არ დასაჯერებელი წიგნი თურმე ყოველ წლივ იბეჭდება და წიგნების უმეტესი ნაწილი იმერეთისკენ ვრცელდება.

*** ქ. ფოთი: წელს ფოთში ერთი გემიც აღარ მოსულა რუსეთიდგან ხე-ტყის წასაღებად, რის გამოც ისინი, ვინც ამ ხელობითა სჭამდნენ ლუკმას, დღეს მშივრები სხედან.

*** ჭიობის-ხევი: 22 აპრილს ერთი უბედურება მოხდა. ვ. სარალიძე თავისის ამხანაგებით სალოცავად წავიდნენ. გზაზედ ერთი ურია შეხვდათ და ხუმრობა დაუწყეს. ურიას ეგონა გაძარცვა უნდათო და მალე მოშორდა. გზაზედ ღამის დარაჯები შეხვდნენ; წამოიყვანა და ვანო სარალიძესა და მისს ამხანაგებს თავზედ დააყენა. დარაჯებმა მისვლის უმალვე ცემა დაუწყეს. ასტყდა ჩხუბი და ამ ჩხუბში მოკვდა ვანო სარალიძე. დანარჩენნი მისი ამხანაგები-კი დაჭრილები წავიდნენ.

*** პიატიგორსკი: აქაური სამკურნალო წყლები წელსაც იმ დროს იხსნება, როგორც შარშან. ხოლო ფასი-კი შარშანდელზედ მეტია, თუმცა ვანების რიცხვს მოუმატეს. აქ 7 მაისს გვეწვია უცხოელი მოგზაური გრაფი ზიჩი რამდენიმე უცხოეთელ მხლებელით.

## თავად-აზნაურთ ბანკის კრება.

12 მაისს

სხდომა დაიწყო $11^1/_2$ საათზედ.

უგ. თავ. პეტრე გრუზინსკიმ წაიკითხა ზედამხედველ კომიტეტის მოხსენება, რომ ანგარიში გამგეობისა მთელის წლის ბანკის საქმეების მიმდინარეობა, წიგნები, საბუთები, ყოველივე შემოწმებული არის და მართალი.

ანგარიში გამგეობისა ერთხმად დამტკიცდა.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. მოისმინეთ გამგეობის მოხსენება მინისტრთან წარგზავნილ თხოვნებზედ.

გამგეობამ ერთი თვისი წევრი გაგზავნა იმ წელს პეტერბურგში ამ თხოვნების თაობაზედ. აი, რას თხოულობდნენ:

1) შეცვლას წესდების რამდენისამე მუხლისა;

2) სესხის გაცემას უგირაოთ ქალაქებზედ და საზოგადო დაწესებულებებზედ.

3) რაოდენობის დაკლებას წმინდა მოგებიდგან მოსამსახურეთათვის დივიდენდისა.

4) არწრუნისეულის ქარვასლის დამტკიცებას ბანკის საკუთრებად და ამ მამულის ვალის გადახდას ბანკის თანხიდგან

და 5) ბანკის მოქმედების გაფართოებას.

არც ერთი თხოვნა ჯერ შეწყნარებული არ არის. ყველა თხოვნების, არწრუნისეულის მამულის დამტკიცების გარდა, პასუხს მაშინ მიიღებთო, როდესაც ამისათვის საჭირო საბუთებს, ახსნას განვიხილავთო. რაც შეხება მამულის დამტკიცებას ამაზედ უარი მოგვივიდა სამინისტროდგან და ამისათვის ეს საგანი უნდა განირჩესო.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. თუ-კი აგეთი გარდაწყვეტილი უარი მოგვივიდა, რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ ეგ მამული დავუმტკიცოთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას?

წაიკითხეს გუბერნიის მარშლის თავადის კ. ი. მუხრან-ბატონის წერილი, რომლითაც ის ითხოვს, ეს საგანი გაირჩეს ეხლანდელს კრებაზედ.

დიმიტრი მუსხელიშვილი. სჯობია ახლავე ჩვენი წინანდელი გარდაწყვეტილება, რომ ბანკის სახელობაზედ დამტკიცდეს ეგ მამული, უარ-ვყოთ და მერე სხვას გადავცეთ. ახლა-კი მე მსურს მოგაგონოთ ის გარდაწყვეტილება ბანკში მოსამსახურე პირთა, რომ ისინი არ მიიღებენ იმოდენა დივიდენდს...

თავ. ილია ჭავჭავაძე. ჯერ საქმე უნდა გადასწყდეს ამ მამულის თაობაზედ და მერმე სხვაზედ ვიბაასოთ. თავმჯდომარის კითხვაზედ: კრება უარ-ჰყოფს, თუ არა წინანდელს თვისს განაჩენს—კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა, უარ-ჰყოს.

თავ. ს. დ. ანდრონიკაშვილი. ე, ი. როგორ თუ ერთ-ხმად—ეს შეეხება დამფუძნებელთ და აქ-კი...

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი (ზარს რეკს) ამაზედ ლაპარაკი აღარ შეიძლება!

თავ. ს. დ. ანდრონიკაშვილი. ეგ კარგია; მაშასადამე, ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ...

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. (ზარს რეკს) ეს საქმე გარდაწყვეტილია და თქვენ, კიდევ გაბრთხილებთ, ნუ ლაპარაკობთ უსაფუძვლოდ.

თავ. ილია ჭავჭავაძე. რაც შეეხება ბატ. მუსხელიშვილის დივიდენდის თაობაზედ ქაღალდის წაკითხვას, (მიუბრუნდება მუსხელიშვილს) ეს გადავდვათ, სანამ იმ ქაღალდებს მოვძებნიდეთ და მაშინ გამცნობთ...

თავ.ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. თავადო ილია ჭავჭავაძე, თუ რაიმე სათქმელი გაქვთ, მე მელაპარაკეთ და არა სხვას. წესდების ძალით არ გაძლევთ უფლებას ერთი-მეორეს ეკამათებოდეთ აქა!

დიმიტრი მუსხელიშვილი. მე მზათ ვარ მოვითმინო. შემდეგ იყოს სჯა მაგ საგანზედ.

წაიკითხეს გამგეობის მოხსენებას სამსჯავროში შეტანილ დავების თაობაზედ. ამ მოხსენებიდგან სჩანს, რომ გამგეობას ანგარიშის წლის განმავლობაში რვა პროცესსი ჰქონია.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. ეს მოხსენება არ არის სრული და საქმის შესაფერი. ის საქმეები-კი ისე არეული გაქვთ, რომ კაცი ვერაფერს გაარჩევს—თუ ნებას მომცემთ, უფრო ვრცლად ამ საგანზედ მაშინ ვილაპარაკებ, როცა ჩემი მოხსენება იურისკონსულტზედ იქნება?

დიმიტრი მუსხელიშვილი. ვისი მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ მარტო ერთი დავა მოგვიგია?

თავ. ივანე მაჩაბელი. სამი საქმე გვაქვს მოგებული.

დიმიტრი მუსხელიშვილი. რამდენი წაიღეს ადვოკატებმა.

თავ. დავით ავალიშვილი. ოცი, თუ ოცდა-ხუთი თუმანი, არ მახსოვს კარგად. უმთავრესი საქმე იმაში არის, თუ რამდენი მოვიგეთ და არა თუ ვინ მოიგო! ზოგიერთ დავებს მე ვაწარმოებდი და ზოგს ნაფიცნი ვექილნი. ვარწმუნებ თავ. ნიკოლოზ ორბელიანს, რომ სანამ ჩვენ საკუთარი იურისკონსულტი გვყავდა, საქმეები უფრო უწესოდ მიდიოდნენ.

დიმიტრი მუსხელიშვილი. მოხსენებიდგან სჩანს, რომ რვა საქმიდგან სამი მოგვიგია. ამისათვისაც ჩვენ მადლობელნი ვართ, თუმცა ყველა ეს დავები ნაფიც ვექილებს მოუგიათ და არა რომელიმე დირექტორს, მაშინ როდესაც ჩვენ მეოთხე დირექტორი სწორედ სამსჯავრო საქმეებისათვის ავირჩიეთ.

თავ. კასიდ მაჩაბელი. ჩვენ აქ იმისათვის ვართ, რომ ყველაფერი შევიტყოთ. თ-დი ავალიშვილი სცდება, როდესაც ამბობს, რომ საქმე იმაში-კი არ არის ვინ მოიგოო... საქმე სწორედ აქ არის... მაგალ. თქვენ პროცესსი გქონდათ ელექტრონის განათების გამკეთებელთან, ვიღაც ბლანშოსთან საოლქო სამსჯავროში; ეს საქმე წაგიგიათ, გადიტანეთ, თუ არა პალატაში საჩივარი?

თავ. დავით ავალიშვილი. არა! იმიტომ რომ უფრო მეტს წავაგებდით. აგ დავაში გამგეობა უსამართლოდ ჩაერია.

თავ. გ. მაჩაბელი. აი ეს არის გასაოცარი. თუ-კი თქვენ ხედავდით, რომ საქმე უსამართლო იყო, რაზედ მისდიეთ მაგ დავას და თუ ოლქის სამსჯავროში უპასუხეთ, რატომ ბოლომდის არ მიჰყევით? განა არ იცით, რომ აქ წაგებული იქ შეიძლება მოგოთ? თუ ეს გაუგებარია თქვენთვის?.. იქნება თქვენ საჩივრის ვადა გაუშვით?.. მიბრძანეთ, გაქვთ თუ არა გამგეობის დადგინება, რომ პალატაში საქმე არ გადიტანოთ?..

თავ. დავით ავალიშვილი. არავითარი დადგინება არა გვაქვს. მხოლოდ საქმე ისე ნათლად იყო ჩემთვის, რომ საჭიროდ არ დავინახე დავის განგრძობა. ჩვენ ბლანშოსათვის ფული უნდა მიგვეცა, კონტრაქტის ძალით იმას დარჩა შეუსრულებელი მუშაობა, ღირებული 200—300 მან. და ამის გამო გამგეობა იმას არ აძლევდა 8.600 მანეთს. იმანაც გვიჩივლა. რომელი სამსჯავრო დაინახავდა ამისთანა საქმეში ჩვენს სიმართლეს? ამისათვის მე ვურჩიე გამგეობას, ეს საქმე აღარ გაეგრძელებინათ და ფული გარდვიხადეთ. დარწმუნებულნი ვართ, პალატაში გადატანით ჩვენ მეტს წავაგებდით და ასე-კი მხოლოდ იმდენი მივეცით, რამდენიც მოვალენი ვიყავით მიგვეცა, თავ. ვ. მაჩაბელი ბრძანებს: აქ წააგებთ, იქ მოიგებთო. ამგვარს აზრს წარმოსთქვამს მხოლოდ ის პირი, ვისაც სამსჯავროს შეცდომის იმედი აქვს, მე კი არავინ არ მსურს შეცდომაში შევიყვანო!

ბ-ნი ამირაღოვი. მაინც საქმე ბოლომდის უნდა მიგეყვანათ!

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. თავ. ავალიშვილი ადვილად გაიძახის 200 300 მან. ხარჯი მოგვივიდაო. ასე წვრილ-წვრილად ათასობაზედ გადავალთ და ეს ათასები-კი ჩვენ გვაკლდება. პირდა-პირ ვილაპარაკოთ: გამგეობის წევრს არ ჰქონდა დრო და მოცალეობა საჩივრებისათვის ედევნა და ამიტომაც თავ. ავალიშვილმა ვადა დაკარგა. მთელი გამგეობაა დამნაშავე ამ საქმეში. მე ვიცი, რომ ბლანშოს ჰსურდა საქმე მორიგებით დაეთავებინა და თუ თავ. ავალიშვილმა იცოდა, რომ ეს საქმე წასაგები იყო, სინიდისიც მოითხოვდა და მისი ზნეობრივი მოვალეობა იყო, მაშინვე ემცნო გამგეობისათვის, რომ ეს მორიგება მომხდარიყო; რადგან ეს იმას არ მოუქმედნია, ამისათვის მე იმას ჩემდა თავად ვუცხადებ დიდს საყვედურს.

თავ. დავით ავალიშვილი. გასაკვირველია, სინიდისისა და ზნეობრივ მოვალეობის გაკვეთილებს რომ თავ. ნ. ორბელიანი მე მაძლევდეს!.. სჯობს საქმეზედ ვილაპარაკოთ.. ბლანშოს საქმე მე აგიხსენით ისე, როგორც იყო და თუ ნივთიერი პასუხის-გება გნებავთ, ეს სხვა არის!..

თავ. ივ. მაჩაბელი. აქ ნივთიერ პასუხის-გებაზედ არავინ არ ამბობს, საქმე ზნეობრივ პასუხის გებაშია... ნივთიერად ჯერ კრებას არავინ დაუსჯია. კრება მხოლოდ უჩვენებს ამა თუ იმ შეცდომას. ავალიშვილი არ არის მართალი, როდესაც თავის დანაშაულს გამგეობას ახვევს კისერზედ. საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ ბანკი თავისს საქმეებს სასამართლოებში ძლიერ ცუდად აწარმოებს. არავითარი რიგი და წესი არ არის შემოღებული; არა გვაქვს დავთარი, რომელშიაც იწერებოდეს, რომელი საქმე რა მდგომარეობაშია და სხვა. ძალიან ძნელია ამხანაგებმა თვალ-ყური ადევნონ თავისსავე ამხანაგს; გამგეობას არ შეუძლიან კონტროლად გარდაექცეს თავის ამხანაგს. საჭიროა ვიყოლიოთ ვექილი და მაშინ დალაგდება ჩვენი საქმეები. რაც შეეხება კერძოდ ბლანშოს საქმეს, საყვარელიძე ამბობდა, რომ უიმედოდ არ არისო, შესაძლებელია მოვიგოო, მაგრამ საყვარელიძე აქ არ არის, ამიტომ ეს უბრალო ხმად ჩაითვლე-

ბა. თვით თ. ავალიშვილს არ უთქვამს გადაჭრით, რომ საქმე წაიგებაო. თუ უიმედო ყოფილიყო, საქმეს არც დაიწყებდნენ, და რადგან დაიწყეს, უნდა დაბოლოვებულიყო.

თავმჯდომარემ კრება ნახევარ საათით შეაჩერა. სხდომის ხელახლავ დაწყების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებისამებრ წაკითხულ იქმნა (პირველ) სხდომის პროტოკოლი.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. პროტოკოლში არ არის ის ადგილი, სადაც თავმჯდომარე შეეხო რევიზორს. რევიზორის შესახებ ლაპარაკი უადგილო არის.

თავმჯდომარე. თქვენ ნება არა გაქვთ...

თ. ნიკოლოზ ორბელიანი. მე მსურს ამ საგნის შესახებ პროტესტი შემოვიტანო კრებაში.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. მე თქვენს პროტესტს გადავცემ ზედამხედველს კომიტეტს.

ამის შემდეგ წაიკითხეს წინა დღის კრების პროტოკოლი, რომელიც დამტკიცებულ იქმნა, რამდენიმე სიტყვის ჩამატების შემდეგ.

თავ. პეტრე გრუზინსკი. როდესაც ზედ კომიტეტმა სცნო, რომ ბლანშომ აგვიტეხა დავა, მაშინ ჩვენ ამოვარჩიეთ კომისია ჩვენ შორის თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისაგან და ბ-ნ გ. ჟურულისაგან. ამ კომისიის მოხსენება გთხოვთ მოისმინოთ. ბ-ნი ჟურული კითხულობს კომისიის მოხსენებას, რომლიდგანაც სჩანს, რომ ბლანშოს არ შეუსრულებია მარტო 200—300 მან. მუშაობა და გამგეობა დიდად შემცდარა იმასთან დავის ატეხით. რაც მისაცემი იყო, დროზედ არ მიუციათ და კიდეც უსარგებლიათ სხვის შრომით ფას-გამოუღებლად. ამ კომისიის მოხსენების შემდეგ ზედამხედველს კომიტეტს დაუდგენია: სასამართლოების საქმეები გამგეობას ვერ მიჰყავს წეს-რიგიანად და ამისათვის ვალად სდებს შემდეგისათვის შეასწორონ საქმეები.

თავ. ივანე მაჩაბელი. მე პირველად მესმის კომიტეტის დადგენება ამ საქმეზედ. ეს ხშირად ხდება ხოლმე ჩვენს გამგეობაში, სხვებს ატყობინებენ და მე-კი არა. კომისია ამბობს, რომ თავ. ავალიშვილი გვირჩევდა მორიგებით საქმის გათავებას ბლანშოსთან—ეგ მართალი არ არის—მე არაფერი არ გამიგია! ტყუილია ის მოხსენებაც კომისიისა, რომ ვითომ გამგეობა ვისმე შრომით დაუჯილდოებლად სარგებლობდეს და აქ საქმე სრულებით 200—300 მანეთზედ არ არის; ასე რომ იყოს, მაშინ თავ. ავალიშვილს იმ თავიდგანვე უნდა ეთქვა უარი საქმეზედა და არა თვითონ ეთხოვნა, რომ ეგ საქმე მე მომანდევით საწარმოებლადაო!

დიმიტრი მუსხელიშვილი. ყველაფრიდგან სჩანს, რომ მეოთხე დირექტორი არ ყოფილა საჭირო!

გიორგი ჟურული. მე, როგორც კომისიის წევრი და გამომრკვევი ამ საქმისა, მოგახსენებთ: საქმე ეგრე არ არის. აქ ამბობენ, რომ ბლანშოს ის მოწყობილებაც უნდა ჰქონოდა, რომლითაც შესაძლო ყოფილიყო სინათის ძალის გამოზომვა. ეგ შეუძლებელი აღმოჩნდა. აკლიათ იზოლაციები—ეს უცხო სიტყვა შეიძლება დიდ რამედ მოეჩვენოს კაცს და სულ უბრალოს-კი ნიშნავს—ეს არის ხის ვიწრო ბასკები, რომელზედაც ელექტრონის მავთული არის გაყვანილი. ყოველს შემთხვევაში, ვინც უნდა და რამდენიც უნდა ილაპარაკოს და ჩხრიკოს, იმაზედ მეტს ვერას გამოსძებნის და იტყვის, რაც ჩვენ, კომისიამ, გავიგეთ და ვსთქვით!

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი თხოულობს სიტყვას.

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. თავადო ნ. ვ. ორბელიანო, რამდენჯერ ილაპარაკეთ ამ საგანზედ?

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. თუნდ ათჯერ, მაგრამ ეს საგანი იმოდენად ღირს შესანიშნავია, რომ არ იქნება ცუდი მეთერთმეტეთ მომცეთ ლაპარაკის ნება. ბლანშოს საქმე...

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. მე მხოლოდ აღვნიშნავ, რომ თქვენ საკმაოდ ილაპარაკეთ...

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ მე მაწყვეტინებთ სიტყვას და მეკამათებით—წეღან მესაყვედურებოდით, ახლა-კი ვინ არის დამნაშავე მე თუ თქვენ. თავ. ავალიშვილმა რამდენჯერ ილაპარაკა ამ საგანზედ?

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. ბრძანეთ—მე სიტყვას არ გართმევთ.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი ლაპარაკობს ბლანშოს საქმეზედ. სრული დამნაშავედ გამოჰყავს ამ საქმის წაგებაში თ. ავალიშვილი და შემდეგისათვის რომ უკედ წავიდეს საქმეები, თხოულობს იურის კონსულტის ადგილის დაწესებას.

ზ. ტატიშვილი.—ამ საქმეში დამნაშავეა გამგეობა და არა ავალიშვილი—ყველანი დამნაშავენი არიან, ვინც მეოთხე დირექტორის არჩევის თანახმანი იყვნენ.

მიხეილ მაჩაბელი. დავა დაიწყეთ კიდევაც უნდა გაგეთავებინათ. ჩვენ აქ ტყუილად ვლაპარაკობთ იურიდიულ საქმეებზედ, ეს კრებას არ შეეხება—გაიხსენეთ გუშინდელი საყვედური—ჩვენის გამწვავებულ ერთი მეორესთან შეტაკების გამო...

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. გამწვავებული შეტაკება არ გახლავთ.

მიხეილ მაჩაბელი. მე ვეკიდები გამწვავებულად საქმეს... კიდევ ერთი შენიშვნა. გთხოვთ აღნიშნოთ პროტოკოლში ჩემი პროტესტი, რომ თქვენ თავმჯდომარეობდით კრებაში იმ დროს, როდესაც ბ-ნი ჟურული კომისიის მოხსენებას გვიკითხავდა, იმ კომისიისას, რომლის წევრათაც თქვენ იყავით!

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. შეგიძლიანთ წერილობითი პროტესტი შემოიტანოთ.

თავ. მიხეილ მაჩაბელი. მე წერაც ვიცი და ლაპარაკიც—თქვენ არ უნდა ყოფილიყავით ამ შემთხვევაში თავმჯდომარეთ. მაშ მომეცით ნება პროტესტი შემოვიტანო?

თავ. ნიკ. ანდრონიკაშვილი. რამდენიც გნებავთ. (საზოგადოებაში სიცილია).

მიხეილ მაჩაბელი. ამის შემდეგ აღარას ვიტყვი, რადგან ბ-ნი თავმჯდომარე ხუმრობას მოჰყვა.

თავ. გ. ვ. მაჩაბელი. ვერ გამიგია, რისთვის ვლაპარაკობთ ამდენს ამ საგანზედ. ეს ყოველის მხრიდგან კამათობა ჩვენ ვერაფერ დასკვნამდის მიგვიყვანს და არც საზოგადო კრების საქმეა, გაარჩიოს აქ იურიდიულად საქმეები. მხოლოდ აშკარაა, ცხადია ჩემთვის ის, რომ თავ. ავალიშვილმა ვადა გაუშვა და საქმე წააგო. დამტკიცება იმისი, რომ საქმე მაინც წ იგებოდაო, მიმაჩნია უსაფუძვლოდ.

თავ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილი. მთელი აზრი წინადელის ორატორისა იმაზედ არის დამყარებული, რომ თავადი ავალიშვილი დამნაშავეა, წააგებინა საქმე და ამით ბანკს მისცა ზარალი—ეგ სრულებით ეგრე არ არის; თუ მართლა გულ-დასმით, პარტიობის მიუხედავათ განვსჯით საქმეს, მაშინ დავინახავთ, რომ არა თუ ზარალი, არამედ ბანკმა მოიგო კიდევაც თდ. ავალიშვილის მოქმედებით. ბლანშოს პროცესში სულ უბრალო რამ გავიწყდებათ; ჩვენ უნდა მიგვეცა ბლანშოსთვის ფული 10,000 მეტი კონტრაქტის ძალით. არ მივეცით, შევუჩერეთ და გადაგვახდევინებდა სუდითაც და უსუდოთაც. თ. ავალიშვილმა-კი ისე მოახერხა საქმე, რომ ჩვენ გადავგხდა მხოლოდ 8,000 მან. სად არის აქ ზარალი,—თუ ამდენს იმიტომ ლაპარაკობთ, რომ გნებავთ თვალები აგვიხვიოთ და შეცდომაში შეგვიყვანოთ? იქნება ამას იმიტომ შვრებით, რომ თავ. ავალიშვილი წელს კენჭს იყრის? არა, თქვენ დაამტკიცეთ, რომ თავ. ავალიშვილი ამ საქმეში უმართებულოდ მოიქცა და მაშინ მეც შავს კენჭს ჩავუგდებ, თუ არა და ყველა თქვენ, ვინც ტყუილ ბრალსა სდებთ, მოვალენი ხართ იმას თეთრი მისცეთ!.. (ბრავო, ბრავო).

თავ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. მე სრულიად საკმაოდ მიმაჩნია ამ საგანზედ სჯა. მიიღებთ თუ არა მხედველობაში გამგეობის მოხსენებას სასამართლო საქმეებზედ? დიდის ხმის უმეტესობით მოხსენება გამგეობისა მიღებულ იქმნა.

სხდომა გადაიდვა მეორე დღის ათ საათამდის.

კ. მესხი.

—

## 11 მაისს.

თავმჯდომარის წინადადებისამებრ წაკითხულ იქმნა წინანდელ სხდომის პროტოკოლი.

მიხეილ მაჩაბელი. პროტოკოლში კარგად არის ჩაწერილი თავმჯდომარის სიტყვები, მაგრამ მოწინააღმდეგეთა ნალაპარაკი არ არის ჩაწერილი სავსებით, სრულიად. მაძლევთ ნებას, ამის შესახებ წერილობითი მოხსენება მოგართვათ?

თავმჯდომარე. შეგიძლიანთ.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. გუშინ თავ. ავალიშვილმა სთქვა, რომ სასამართლო საქმეებს გამგეობა ცუდად აწარმოებს, ამ საქმეებში სრული უწესოება სუფევსო. მე ვითხოვ, რომ ეს აზრი თავ. ავალიშვილისა ჩაიწეროს პროტოკოლში.

თავმჯდომარე. ამის შესახებ შეგიძლიანთ წერილობითი წინადადება წარუდგინოთ ზედამხედველს კომიტეტს.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. მე სრულიადაც არა ვარ ვალდებული ვწერო ყოველი ჩემი წინადადება. მე მგონია სიტყვიერადაც შემიძლიან გამოვაცხადო ჩემი თხოვნა.

თავ. ავალიშვილი. მე გუშინდელს სხდომაზედ ვთქვი, რომ სასამართლო საქმეებში უწესოება სუფევდა მაშინ, როდესაც ბანკში იურის-კონსულტობა იყო დაწესებული-მეთქი.

დიმიტრი მუსხელიშვილი. უმთავრესი საგანი, რომელიც უნდა განიხილოს კრებამ, არის წლიური ანგარიში. წელს ანგარიში განუხილველად დამტკიცდა. ამის ნება არ გვქონდა. ანგარიშებში შეცდომებია, ანგარიში ცუდად არის შედგენილი, მე მინდოდა ამ საჭირო განხილვაში მონაწილეობა მიმეღო. სრულიად არ მეგონა, რომ ასე უცბად დაამტკიცებდნენ. მე დავიგვიანე გუშინდელს სხდომაზედ, იმიტომ რომ დარწმუნებული ვიყავი, რომ სხდომა უფრო გვიან დაიწყებოდა, ვიდრე დანიშნული იყო. პროტესტს ვაცხადებ და ვამბობ, რომ ჯერ ანგარიში დამტკიცებული არ არის.

თავმჯდომარე. შეგიძლიანთ წარმოადგინოთ წინადადება.

ილია ჭავჭავაძე. პროტოკოლში რიგიანად არ არის ჩაწერილი გუშინდელ სხდომის დადგენილება იმის შესახებ, რომ უარყოფილ იქმნას შარშანდელ კრების დადგენილება ქარვასლის შეძენის გამო. საჭიროა ეს დადგენილება კარგად ჩაიწეროს, რათა ავიცილოთ თავიდგან ყოველი უსიამოვნება მომავალში. უნდა დაისვას საკითხი: უარ-ვყოთ, თუ არა შარშანდელი დადგენილება საზოგადო კრებასა? ამ საგანზედ მხოლოდ ერთი პასუხი იქნება და მაშინ გუშინდელი გარდაწყვეტილება კრებისა სავსებით და გარკვევით ჩაწერილ იქნება.

შემდეგ დიმიტრი მუსხელიშვილის წინადადების თანახმად წაკითხულ იქმნა მოხსენება ბანკში მსახურთათვის წმინდა მოგებიდგან 20%-ის გადადების შესახებ.

დიმიტრი მუსხელიშვილი. გთხოვთ წაიკითხოთ პროტოკოლი 1890 წლისა დივიდენდის შესახებ.

ილია ჭავჭავაძე კითხულობს პროტოკოლს, რომლიდგანაც სჩანს შემდეგი: 1890 წელს კრებას წარედგინა სამი პროექტი დივიდენდის შესახებ—გამგეობისა, თავ. რევაზ ერისთავისა და მ. მაჩაბლისა; გამგეობისა და მაჩაბლის პროექტები კრებამ უარ-ჰყო და მიიღო პროექტი თავ. რ. ერისთავისა, რომლის ძალით მსახურთათვის გადიდებოდა მხოლოდ 10% წმინდა მოგებიდგან, დანარჩენი 10% ჩაირიცხებოდა საერთო სასარგებლო თანხაში. ამის მიხედვით გაიგზავნა სამინისტროში შუამდგომლობა ორჯელ, მაგრამ ორჯელვე უარი მოვიდა სამინისტროდგან.

დიმიტრი მუსხელიშვილი. როგორ არის დასაბუთებული სამინისტროს უარი? გთხოვთ წაიკითხოთ. მე გაკვირვებული ვარ, რით აიხსნება სამინისტროს წინააღმდეგობა დივიდენდების შემცირებისა?!.

წაკითხულ იქმნა ის ადგილი, საიდგანაც სჩანს, რომ სამინისტროს საკრედიტო ნაწილმა უარი შემოუთვალა გამგეობას წესდების მე 89 მუხლის შეცვლისა. მეორე შუამდგომლობის შესახებ ამგვარივე უარი მოვიდა.

მიხეილ მაჩაბელი. გთხოვთ წაიკითხოთ ყველა ქაღალდები, სრული მიწერ-მოწერა ამ საგნის შესახებ; მე მახსოვს, რომ სამინისტროს უარი დასაბუთებულია.

თავ. ვლადიმირ მიქელაძე. წაიკითხეთ ის მოხსენება, რომელიც შეეხება დივიდენდის შემცირებას! რაღა მოხელეა კანცელარია, თუ საჭირო ქაღალდი ვერ უპოვნია ხოლმე?

ილია ჭავჭავაძე კითხულობს იმ მოხსენებას, რომელიც გამგეობამ ამ საგნის შესახებ წარუდგინა სამინისტროს.

დიმიტრი მუსხელაშვილი. რად არ კითხულობთ მას, რის წაკითხვასაც გთხოვთ ყველანი.

ილია ჭავჭავაძე. საკვირველი საქმეა სწორედ! წაგიკითხეთ სამინისტროს ქაღალდები, ჩვენი მოხსენებაც, პროტოკოლიც. საზოგადო კრებაზედ მაშინ ლაპარაკი იყო დივიდენდის შემცირების შესახებ. გამგეობამ ორჯელ იშუამდგომლა ამის გამო. მეორედ ჩვენ ვითხოვეთ ნება, რომ ათი პროცენტის გადადება შეიძლებოდეს მიწათ-მოქმედთა და მიწათ-მფლობელთა თანხად, მაგრამ როგორც მოგახსენდათ, ორჯერვე უარი მოგვივიდა.

თავ. ივანე მაჩაბელი. შარშანდელის შუამდგომლობის შესახებ პასუხი სამინისტროდგან აქამდის არ მოსულა.

თავ. ავალიშვილი. შარშანდელს შუამდგომლობაზედ უარი არ მოგვივა. სამინისტრო პასუხს გამოგვიგზავნის, როდესაც საჭირო ცნობებს შეჰკრებს.

დიმიტრი მუსხელიშვილი. საკვირველია, რომ ყოველ შუამდგომლობაზედ უარი მოგვდის. ჩემის ფიქრით საჭიროა, რომ ყოველთვის, როდესაც დაგვჭირდება შუამდგომლობის წარდგენა, პეტერბურგს ვგზავნოთ საგანგებოდ ამორჩეულნი და არა გამგეობის წევრნი. რაც შეეხება დივიდენდის საქმეს, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: კანონის შეცვლა ჩვენ ხელთ არ არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს პროტოკოლი, რომლიდგანაც სჩანს, რომ 1890 წელს ბანკის მსახურებმა პირობა მოგვცეს დივიდენდი შეამცირონ. რად არ აასრულეს დაპირება და რად აიღო, მაგალითად შარშან, გამგეობის სამმა წევრმა 17 ათასი მანეთი?!

თავ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილი. დივიდენდის შემცირება ან მოსპობა ჯერ კანონად არ შექნილა. რაც შეეხება მას, რომ მსახურთ უარი სთქვეს დივიდენდზეო—ეს სავალდებულო არ არის...

თავ. დავით გურამიშვილი. საქმე სრულიად სხვა რიგად იყო. მსახურთ სამუდამოდ-კი არ უთქვამთ უარი დივიდენდის მიღებისა, არამედ ერთის წლით; იმ წელს არ აიღებდნენ დივიდენდს, რომელ წელსაც მინისტრის დადგენილება მოვიდოდა. თუ მსახურნი წაიღებდნენ მხოლოდ 10%, დანარჩენი 10% სად უნდა ჩაგვერიცხა? ამ ფულის ჩარიცხვა საერთო სასარგებლო თანხაში არ შეიძლებოდა კანონით. მაშასადამე, ასე უნდა მოწყობილიყო საქმე: მსახურნი აიღებდნენ სრულად 20%, აქედგან ათს პროცენტს საზოგადო კრებას აჩუქებდნენ; მაგრამ განა ამ საჩუქარს მიიღებდა საზოგადო კრება?

თავ. ვლადიმირ კაჩნაძე. რით უნდა აიხსნებოდეს ზედამხედველ კომიტეტის წევრის ამგვარი გამოსარჩლება და გამგეობის დაცვა? რად არ შეიძლებოდა, რომ მსახურთ შეეწირათ 10% საერთო სასარგებლო თანხაში ჩასარიცხად? განა ეგ სამინისტროს ეწყინებოდა?... თავ. ავალიშვილმა სთქვა, რომ ჩვენი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნებაო, მაგრამ, რადგანაც ეს საქმე ფრიად მნიშვნელოვანია, ჩემის ფიქრით, სჯობს კიდევ დავეკითხოთ სამინისტროს.

დიმიტრი მუსხელიშვილი. ახლაც მეტის-მეტად დიდია დივიდენდები; რაღა იქნება მაშინ, როდესაც ბანკის მოგება იმატებს? 50 წლის შემდეგ დივიდენდი 100 ათასი მან. იქნება. ნუ-თუ ასი ათასი მან. უნდა ვფლანგოთ?!. თუ კანონით საქმე არ წყდება, საჭიროა მსახურებმა გაიხსენონ თავისი დაპირება და ამიერიდგან მაინც აღარ აიღონ სრულიად დივი-

...დენდი. ამბობენ, არ შეიძლება დარჩენ ფულის ჩვენება ანგარიშშიო, მაგრამ განა არ შეიძლება ასე ჩაიწეროს: ამდენი და ამდენი შემოვიდა ამ ფულიდგან, რომლის მიღება თვით არ ისურვეს მსახურებმა?!

თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება თავ. ავალიშვილს მისცა, რაც ვლ. მიქელაძემ იწყინა: მუდამ გამგეობის წევრთ ალაპარაკებთ, ჩვენ კი არ გვაძლევთ ლაპარაკის ნებას, თუმცა კარგი ხანია ვთხოულობთ?!

თავმჯდომარე. თქვენის ბრძანებით მე ვერ შევსცვლი არჩეულს რიგს!

თავ. ავალიშვილი. ბანკის საქმეებში შეუძლებელია მარტო სურვილით ვხელმძღვანელობდეთ. საჭიროა წესდება და კანონი დავიცვათ. მე თითონ ყოველთვის დივიდენდის წინააღმდეგი ვიყავი და ვარ, მაგრამ ჩემის ფიქრით, დაპირებას აქ ადგილი არა აქვს, საჭიროა შეიცვალოს კანონი და კანონის ძალით შემცირდეს დივიდენდი.

ბ-ნი ტატიშვილი. გამგეობა სიმართლეს ამბობს. სად ვკარგავთ ტყუილა უბრალოდ დროს?!

ბ-ნი შახ-აზიზოვი. პირობის ასრულება ყველასათვის სავალდებულოა, მეტადრე თავად-აზნაურობისათვის. გამგეობამ გულ-წრფელად დასდო პირობა—დივიდენდს არ ავიღებო. მაშ რად არ ასრულებს დაპირებას? გამგეობა ახლა უფრო გამოცდილია, მას შემდეგ იგი დამწიფდა კიდევაც (საზოგადოებაში სიცილია), ამიტომ მან არ უნდა უმტყუნოს თავისს სიტყვას. რა საკადრისია იმის თქმა, რომ დაპირება სავალდებულო არ არისო?! წარმოვიდგინოთ—ვინმე იძახის: მამული დაცვა უნდა მტრისაგან, მამულის დასაცველად თავი უნდა შევწიროთ, და როდესაც ომი ატყდება ეს ბატონი ვალდებული არა ვარო იტყვის და დაიმალება! განა ეს შეჰშვენის კეთილშობილობას? არა! ეს სამარცხვინოა! (საზოგადოება ხმაურობს: კმარა, კმარა! წაიღეთ უკანვე თქვენი სიტყვები!) მე არავის შეურაცხყოფა არ მინდოდა...

თავმჯდომარე. კმარა, ბ-ნო შახ-აზიზოვ! თქვენ უკვე სთქვით, რაც გსურდათ.

ბ-ნი კობიაშვილი. გთხოვთ დაასახლოთ—ვინ იყო გამგეობის წევრად მაშინ, როდესაც მათ პირობა დასდეს დივიდენდის შემცირების შესახებ.

თავმჯდომარე. თავ. ილია ჭავჭავაძე, თავ. თარხნიშვილი და თავ. ივ. მაჩაბელი.

ბ-ნი კობიაშვილი. ძალიან კარგი!... მე მგონია, ამ საგნის შესახებ კამათი მეტია. მართალი ბრძანა ბ. ტატიშვილმა, რომ უბრალოდ დროს ვკარგავთ. წინა წლების ანგარიშები დამტკიცებულია და მომავალს რაც შეეხება—ხომ გავიგეთ, რომ პასუხი მალე მოგვივა?!

ხმა საზოგადოებიდგან. დიდხანს რომ არ მოვიდეს საჭირო პასუხი?

ბ-ნი კობიაშვილი. უთუოდ მალე მოვა; ასე რომ, ჩემის ფიქრით, დივიდენდის საქმე უნდა დარჩეს ხელ-უხლებლად.

დავით გურამიშვილი. მე გამგეობის დამცველად-კი არ გამოვსულვარ, მე მხოლოდ კანონს ვიცავ... რაც შეეხება მას, რომ გამგეობა დიდძალს ფულს ღებულობს და შემცირებაა საჭირო, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისთვის არის სხვა საშუალება და უფრო კანონიერი გზა. ამ გზას დაადგა ზედამხედველი კომიტეტიც: ის მეტის-მეტად ამცირებს ჯამაგირებს. აი, ეს არის კანონიერი და მასთანავე ერთად-ერთი გზაც!

დიმიტრი მუსხელიშვილი. წინა წლებს თავი დავანებოთ, მაგრამ მოვთხოვოთ გამგეობას, რომ ამიერითგან იქონიოს მხედველობაში გამგეობამ თავისი დაპირება 1890 წელს.

თავ. ვლადიმირ მიქელაძე. მართალია დივიდენდი დიდია, რასაც არც გამგეობა უარს-ჰყოფს; შემდეგში დივიდენდი უფრო იმატებს. საჭიროა შემცირდეს, მაგრამ იმ საშუალებით, რომელიც თავ. გურამიშვილმა გვიჩვენა, ესე იგი, ჯამაგირის შემცირებით: ეს საშუალება—კანონიერია და წესიერიც.

მსხვერპლი და შემოწირულება ჩვენ არავისგან არ გვინდა. მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარის მსხვერპლისა ამ შემთხვევაში. შეწირვა თუ უნდა ვისმეს, ჩვენ საქველმოქმედო საზოგადოებანი გვაქვს დაარსებული და იმათ შესწირონ... (ვაშა! ვაშა!)

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. ვეთანხმები თავ. მიქელაძის უკანასკნელს სიტყვებს და მასთანავე ვფიქრობ, რომ ეს საგანი სრულიად გამოირკვა და კმარა ამის გამო კამათი!

თავ. ილია ჭავჭავაძე. ეს საგანი 1890 წელს გამოიწვია პრაქტიკულმა და არა სხვა რამ მოსაზრებამ; აქ გამგეობის მხრით არავითარი მსხვერპლის შეწირვა არ ყოფილა. როგორც იცით, კანონი მხოლოდ გამოცხადების შემდეგ შედის ძალაში და მას გავლენა არა აქვს უწინდელს დროზედ. ვთქვათ, სამინისტრომ შეიწყნარა ჩვენი შუამდგომლობა 89 მუხლის შეცვლის შესახებ და წლის ბოლოს შეგვატყობინა თავისი გარდაწყვეტილება. როგორ უნდა მოვქცეულიყავით მაშინ? აი, რაში მდგომარეობდა საქმე! მხოლოდ იმ დღიდგან უნდა გვეხელმძღვანელა დადგენილებით, რა დღესაც წესდების მუხლი შეიცვალა, თუ იმ წლის დაწყებიდგან? აი ამ საგნის პასუხად ბანკის მსახურთ თანხმობა განაცხადეს—და ემორჩილნენ ახალს წესს იმ წლის დასაწყისიდგან, რა წელსაც სამინისტროდგან პასუხი მოვა. რაც შეეხება იმას, რომ საჭიროება მოითხოვს—შემცირდეს ის დიდი თანხა, რომელიც იხარჯება გამგეობის წევრებზედ და სხვა ბანკის მსახურებზედ, ეგ ჩვენი მხრივ შეგვიძლიან აღვასრულოთ მხოლოდ იმ გზით, რა გზასაც ზედამხედველი კომიტეტი დაადგა და რომელიც აქ თავ. გურამიშვილმა გამოსთქვა.

თავმჯდომარე. საგანი სრულიად გამოირკვა.

დიმიტრი მუსხელიშვილი. გთხოვთ შემდეგი ორი საგანი კენჭის ყრით გარდასწყდეს: 1) ვალდებულ-ვყოთ გამგეობა ამიერიდგან აასრულოს 1890 წელს დადებული პირობა და 2) შუამდგომლობათა წარსადგენად ირჩეოდეს ხოლმე საგანგებოდ კრებისა და არა გამგეობის წევრი... ზოგი სრულიად წინააღმდეგია ამ საგნებისა, ზოგის ფიქრით (თავ. დ. გურამიშვილი, თავადები პ. და მ. გრუზინსკი) პირველი საგანი უნდა გაირჩეს მაშინ, როდესაც ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ იქნება ბაასი, ხოლო მეორე (თავ. ილია ჭავჭავაძე და თავ. მ გრუზინსკი) უნდა განირჩეს და განიხილოს და, როგორც სრულიად ახალი საგანი, მომავალს კრებას მოხსენდეს; დ. ი. მუსხელიშვილი-კი თხოულობს, რომ ორივე საკითხი ახლავ გარდასწყდეს.

თავმჯდომარე. ვთხოვ მათ წამოდგნენ, ვინც დივიდენდის შესახებ თანახმა არის ბ. მუსხელიშვილისა.

წამოდგა სულ ოთხი კაცი.

თავმჯდომარე. ვთხოვ მათ წამოდგნენ, ვინც ეთანხმება დ. ი. მუსხელიშვილს, რომ შუამდგომლობათა წარსადგენად კრებიდგან ირჩეოდეს ვინმე.

წამოდგა სულ ექვსი კაცი.

თავმჯდომარე. ახლა-კი ვთხოვ მათ წამოდგნენ, ვინც ამ საგნის შესახებ გამგეობის მოხსენება შეიწყნარა.

წამოდგა თითქმის მთელი კრება.

სხდომა ნახევარ საათით შეწყვეტილ იქმნა.

სხდომის დაწყების შემდეგ კრებას მოხსენდა მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც დამტკიცებულ იქმნა.

დიმიტრი მუსხელიშვილი. ამიხსენით, რად არის ამ ხარჯთ-აღრიცხვაში 1000 მანეთი გადადებული ბანკის განათებისა და გათბობისათვის, როდესაც წინად ამისათვის 400 მანეთზედ ცოტა მეტი იხარჯებოდა?

თავ. ავალიშვილი. ხარჯთ-აღრიცხვაში იმდენი არის ნაჩვენები, რამდენიც შარშან მართლა დაიხარჯა. შარშან ამ საგანზედ დაიხარჯა ათას მანეთამდე და ამიტომ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაშიაც ეგ ჯამია ნაჩვენები. ხოლო რად იხარჯება ახლა მეტი, ვიდრე წინა წლებში, ამის საბუთს, თუ გნებავთ, წარმოგიდგენთ.

დიმიტრი მუსხელიშვილი. ძალიან კარგი იქნება.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. გთხოვთ გადიდვას ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა მანამდე, სანამ კრება განიხილავდეს იურის-კონსულტის შესახებ მოხსენებას. თუ კრებამ შეიწყნარა მოხსენება, მაშინ ხარჯთ-აღრიცხვა უნდა შეიცვალოს.

თავ. დავით გურამიშვილი. მაგ შემთხვევაში შეიძლება დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა შემუშავდეს...

მ. მაჩაბელი, დ. ი. მუსხელიშვილი, ამირაღოვი და ზოგი სხვაც თხოულობენ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის გადადებას.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრებას ახლავ წაუკითხვენ ბანკის საზოგადო კრებათა წარმომადგენლობის წეს-რიგზედ შეცვლის შესახებ კომისიის მოხსენებას.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. ამ ჟამად ჩვენმა თავად-აზნაურობამაც აღძრა ეგ საკითხი, შეადგინა თავისი პროექტი და გარდასწყვიტა შუამდგომლობის წარდგენა უმაღლეს მთავრობის წინაშე; ამისთვის მე ვფიქრობ—ბანკის კრებამ შეაჩეროს თავისი მეცადინეობა ამ საგნის შესახებ და აცალოს თავად-აზნაურობას.

თავმჯდომარე. მე არა მაქვს ნება, არ წარვუდგინო კრებას გამგეობის მოხსენება.

თავ. ნიკოლოზ ორბელიანი. მე ვთხოვ კრებას და არა თქვენ.

თავმჯდომარე. ყოვლად შეუძლებელია არ მოხსენდეს კრებას ეს პროექტი; მოხსენდება და მერე როგორც ისურვებს: ან შეაჩერებს ბანკის პროექტს და დააცლის თავად-აზნაურობას, ან გარდასწყვეტს, თავისი პროექტი წარადგინოს, სადაც ჯერ არს. მოხსენების კითხვა შეწყვეტილ იქმნა შემდეგის შემთხვევით:

თავმჯდომარემ მიჰმართა კრებას და სთხოვა, რომ ვინმეს ეკისრა და ფოიეში ატეხილი ხმაურობა შეეწყვიტნა.

მიხეილ მაჩაბელი. ჩემის აზრით, ეს სრულიადაც არ შეადგენს ჩვენს მოვალეობას. ამისათვის თეატრს ჰყავს ადმინისტრაცია და წესიერების აღდგენა მისი პირ-და-პირი მოვალეობაა.

თავმჯდომარე. მაშ, გთხოვთ, ბ-ნო მაჩაბელო, თქვენვე მიიღოთ ეს შრომა და გადასცეთ წესიერების დამრღვევთ, გაჩუმდნენ.

მიხეილ მაჩაბელი. მე ეგ არ შემიძლიან ვიკისრო, რადგანაც მოსამსახურე სრულიადაც არ გახლავართ.

თავმჯდომარე. მივმართავ საზოგადო კრებას და ვთხოვ, იკისროს ვინმე ეს მოვალეობა, ხალხი გააჩუმოს, და თქვენ-კი, ბ-ნო მაჩაბელო, რადგანაც არ აასრულეთ თავმჯდომარის თხოვნა, პროტოკოლს შევიტანთ, რადგანაც თითოეული წევრი საზოგადო კრებისა ზნეობრივად და კანონითაც მოვალეა, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს კრების თავმჯდომარეს, როდესაც კრების წესი რითიმე ირღვევა.

თავმჯდომარის თხოვნაზედ წამოდგა მიხეილ ყიფიანი და ფოიეში გავიდა თავმჯდომარის თხოვნის გადასაცემად.

მიხეილ ყიფიანი. თავმჯდომარის თხოვნა აღვასრულე და იმედი მაქვს, სიჩუმეს აღარავინ დაარღვევს. ხოლო რაც შეეხება ბ-ნ მაჩაბლის სიტყვას, მე მოსამსახურე არ გახლავართო, ვგონებ, ამით მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა აღვასრულე.

მიხეილ მაჩაბელი. კარგად მესმის, რა მიზეზით შეიძლო ბ-მა ყიფიანმა თავმჯდომარის თხოვნის ასრულება, და რატომ ეგევე არ შემიძლიან მე და უარ-ვყავ.

მიხეილ ყიფიანი. გთხოვთ, მიზეზი დაასახელოთ.

მიხეილ მაჩაბელი. მიზეზიც ის არის, რომ თქვენ სესხად მოგცეს 720 მან. ექსტრაორდინარულ თანხიდგან და დღესაც არ დაგიბრუნებიათ.

ამის შემდეგ მიხეილ ყიფიანსა და მიხეილ მაჩაბელს შორის ისეთის ხასიათის ლაპარაკი მოხდა, რომლის გამოც კრების თავმჯდომარე იძულებული იყო სხდომა მაშინვე შეეწყვიტა.

კრება დაიშალა ნაშუადღევის 3 საათზედ მეორე დღის დილის 10 საათამდის.

—

12 მაის.

სხდომა დაიწყო 11 საათზედ.

თ. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი. დიდის მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ გუშინდელი ჩემი თხოვნა, მ. ვ. მაჩაბელთან მიმართული, მოისპოს ფოიეში ხმაურობა, ბ-ნს მაჩაბელს მოეჩვენა შეურაცხყოფად. ვსწუხვარ და გარწმუნებთ, არა თქვენ, საზოგადო კრებას, რადგან კრება თუ დარწმუნებული იყოს, რომ მე ოდესმე შემიძლიან იმისი შეურაცხება, არც თავის უფროსად ამომირჩევდა, არამედ ბ-ნს მაჩაბელს, რომ არავითარი სურვილი არა მქონია მისის თავ მოყვარეობის შეურაცხებისა. მე მოვიქეცი ჩემის უფლების მიხედვით. იქნება მ. ვ. მაჩაბელი ფიქრობს, რომ. რადგანაც იგი იყო ჩემის არჩევის წინააღმდეგი—მე განგებ მივმართე მას თხოვნით, რომლის შესრულება იმან უარჰყო. თუმცა მთელს კრებაში მარტო ერთი მ. ქ. ყიფიანი გამოჩნდა, რომელმაც იკისრა ჩემის თხოვნის შესრულება. ესეც რომ არ ყოფილიყო, მე თითონ იძულებული ვიქნებოდი ავმდგარიყავ და ხმაურობა დამეცხრო. ამ საქმეში ყველას გვაქვს თავ-თავისი წვლილი დანაშაულობისა... უნდა რაიმე საშუალება გამოვძებნოთ, რომ ამისთანა შემთხვევებს ავცილდეთ. დავნიშნოთ ასისტენტები, თუნდ ჯამაგირით—და მივანდოთ იმათ თავმჯდომარის თხოვნების ასრულება კრებების დროს. ვარწმუნებ ხელ-მეორედ ბ-ნს მაჩაბელს—რომ მისი შეურაცხყოფა არა მდომია და გთხოვთ დამშვიდებით შევუდგეთ მორიგ საქმეებს.

მიხეილ მაჩაბელი. ჩემის მხრითაც ვაცხადებ, რომ მე თავის დღეში არა მქონია სურვილი საზოგადო კრებას მივაყენო რაიმე შეურაცხება ჩემის მოქმედებით. ვაცხადებ ამასთანავე ჩემს დიდს მწუხარებას გუშინ მომხდარ ამბავზედ.

თავმჯდომარეს მიართვეს მ. ქ. ყიფიანის წერილი.

თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი. მ. ქ. ყიფიანი თავისს წერილში დიდს ბოდიშს იხდის საზოგადო კრების წინაშე გუშინდელ უმართებულო სიტყვისათვის, რომლითაც მან მიჰმართა მაჩაბელს.

მიხეილ მაჩაბელი. ჩემდა თავად მეც დიდს ბოდიშს ვიხდი წინაშე საზოგადო კრებისა.

წაიკითხვენ წინანდელს სხდომის პროტოკოლს.

თ. ნიკოლოზ ორბელიანი. თავმჯდომარისაგან წარმოთქმულ სიტყვაზედ მაქვს პატივი მოვახსენო საზოგადო კრებას, რომ მე ჩემდა თავად ყოველთვის ავასრულებ კრების უფროსის თხოვნას, თუნდ იგი თხოვნა უკანონოც იყოს!

წაიკითხვენ გამგეობის პროექტს შესახებ საზოგადო კრებების წესდების შეცვლისა. მოხსენება და პროექტი ისეთი ვრცელი არის, რომ გაზეთში შეუძლებელი არის იმისი მოხსენება. უმთავრესი მუხლი პროექტისა შეიცავს იმას, რომ ახლანდელი საზოგადო კრებების მაგიერ იყოს წარმომადგენელთა კრება, შემდგარი 125 დამფუძნებელთ აზნაურთაგან და და 75 მსესხებელთაგან.

(გაგრძელება ხვალ)

## კორესპონდენცია.

დ. ლანჩხუთი. მშვენიერი მდებარეობა, კარგი მიწა-წყალი, ნაყოფიერი სახნავ-სათესი მინდვრები, მდიდარი ტყე, რკინის გზის სიახლოვე, საფოსტო განყოფილება, მკვიდრთა სიმრავლე და სხვა ამგვარი პირობანი ლანჩხუთს ნებას აძლევენ პირველი ადგილი დაიჭიროს გურიის სოფელთა შორის და მართლაც რომ პირველობს. სკოლას, ეკკლესიას, სოფლის სასამართლოს ლანჩხუთზედ უმჯობესს ჩვენს მდგომარეობაში კაცი ვერ ინატრებს. წიგნის მაღაზია და სამკითხველო აქვთ გამართული. ორ სართულიან ქვიტკირის შენობაში მოთავსებულია ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელშიაც ორას ორმოცზედ მეტი მოსწავლე იქნება. სამის მასწავლებელის დაჭირავება და მეოთხეს მოწვევის სურვილი უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ლანჩხუთი წინ-

სვლას არის მოწადინებული. ვაჟ-რობაშიაც ხომ უნარს იჩენს. აჭაური მანდილოსნები თავიანთ ხელსაქმით მთელს გურიაში განთქმულნი არიან. ერთი სიტყვით, ლანჩხუთი გურიის სოფლებში პირველია და ალბად ამიტომ აურჩევია საცხოვრებლად ყველაზედ პირველს და ცნობილს კაცს მწერალთა შორის პატრიარქს მოსე მწერალს. ეს ვაჟბატონი საკმაოდ გააცნო მკითხველ-საზოგადოებას ამ დღეებში „კვალის“ კორესპონდენტმა გლიამ, რომელმაც ფარდა ახადა ამ საარაკო გმირს, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, მოსეს ჯერ ყურიც არ გაუბერტყია.

სანამ მოსე ლანჩხუთში გამეფდებოდა, მან მწერლად იმსახურა თითქმის დასავლეთ გურიის ყველა სოფლებში დრო გამოშვებით და ვერც ერთმა სოფელმა ის ვერ შეიგუა. მგორავ ქვას ხავსი არ ეკიდება და მოსემაც ამ სიარულში ხელი ვერ გაიპოხა მაინცა-და-მაინც. ბოლოს გამაგრდა ლანჩხუთის სოფლის სასამართლოში. აქ ქონიც მოიკრა, სახელიც მოიხვეჭა და საიმედო პროტექტორებიც ზურგი გაიმაგრა თუმცა მოზრდილს ჯამაგირს იღებს სოფლიდგან, მაგრამ უსასყიდლოდ გლეხ-კაცი სულ უბრალო ქაღალდის დასაწერადაც ვერ შეჰბედავს მისს კაბინეტში. სოფელმა ერთხანს ითმინა, ითმინა და ბოლოს მოთმინების ჯაჭვიც გაუწყდა. ამ დღეებში რამდენმამე კაცმა თურმე თხოვნით მიჰმართა მაზრის უფროსს, მწერლისაგან დაგვიხსენიო. ამას დაერთო კორესპონდენცია, ჩივილი, თვით საზოგადოების აზრი და მაზრის უფროსიც დაფიქრდა. ერთის კვირის წინად მოვიდა ლანჩხუთში ბ-ნი ალშიბაია, დაიბარა მთელი ყრილობა და, რომ შიშს ან მეგობრობას არ გაეჭრა და სოფელს გულ-ახდილად გადაეშალა მაზრის უფროსის წინაშე თვისი გულის ნადები, ბ. ალშიბაიამ სათითაოდ შეიხმო გლეხები ცალკე ოთახში და ისე გამოჰკითხა მწერლის ამბავი. თუ რა უამბეს გლეხებმა, ჩვენ არ ვიცით; ის-კი ცხადია, რომ ყველამ ერთხმად ითხოვა მწერლის თავიდგან მოშორება და მაზრის უფროსმაც აღუთქვა: სულ თუ არ დავითხოვეთ, ამ საზოგადოებიდგან მაინც გადავიყვანთო. ამ შემთხვევაში მაზრის უფროსის მადლიერი ლანჩხუთი გულის ძგერით მოელის ახალის მწერლის მოსვლას. რა დიდი ბობოლა არის ვიღაც სოფლის მწერალი, რომ საზოგადოებას ასე ჰშინებია მისი და თავისის ოფლით აგებულ სასამართლოდგან ქისტის კვრით ვერ გამოუგდია ყრილობასო?—იკითხავს ლანჩხუთელების სიმხდალით გულ-დამწვარი მკითხველი. მოსე ისეთი მომაკვდავი „პისეცა“, როგორც ყველა სოფლის მწერალი, მხოლოდ ხრიკების ფაკულტეტი კარგად ჰქონებია დამთავრებული. შენ გვერდით რომ დანაშაულობა ჩიდინოს, საქმეს ისე წაიყვანს, რომ დამნაშავის სკამზედ შენ დაგასკუპებს და თითონ მოწმედ დაგიდგება თურმე. ამიტომაც არის ალბად, რომ, როცა გურიაში ნინოშვილის მოთხრობის უმთავრესს გმირზედ ლაპარაკი ჩამოვარდება, ყველა ამ საკვირველთ მომქმედ ლანჩხუთელს მოსე მწერალს ადებს ხოლმე ხელს. მოდი და ნუ იტყვი მოსეს შესახებ ამ სიტყვებს:

„მქნელი საქმისა ძნელისა
კაცმცა იყო ცნობილი“.

მგზავრი.

## რუსეთის ცხოვრება.

პეტერბურგიდგან სწერენ გაზეთ „რუს. ვედომ.“-ს რომ მთავრობის უმთავრესი ყურადღება ამ ჟამად შავის ზღვის ნაპირების დასახლებაზეა მიქცეული. ამ აზრით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ამ ადგილების განაწილების კანონ-მდებლობა შეადგინოს. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ შინაგან-საქმეთა, მიწათ-მოქმედებისა, ფინანსთა და გზათა სამინისტროები. კომისიის უმთავრესი აზრია.

1) მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი ადმინისტრაციული წესწყობილება იქმნეს შემოღებული შავის ზღვის ნაპირისა და სოხუმის ოლქებში, ისე-კი, რომ თითოეულს ოლქს განსაკუთრებული თავისებური არსებობა ჰქონდეს; 2) მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავება კანონ-მდებლობისა ამ ქვეყნებში გადასახლებულთა შესახებ; 3) სასჯულო საქმეთა სამინისტროსთან ერთად გამოკვლევა იმის შესახებ, თუ როგორი სასამართლო დაწესებულებანი დაარსდეს; 4) ნავთ-სადგურის აგება ტუაპსეს მახლობლად. ნავთ-სადგურისათვის გზათა სამინისტრომ უნდა გადასდოს 150,000 მან; 5) კიდევ სად გაკეთდეს ნავთ-სადგური და ან რამდენი მანეთი მოუნდება ამ საქმეს; 6) შეკეთება ნოვოროსიიდგან სოხუმში მიმავალის გზატკეცილისა, ისე რომ ეტლით თავისუფლად შეიძლებოდეს სიარული. წყლებზედ ბოგები გაკეთდეს; 7) ამ გზატკეცილზედ მკვიდრი ხიდების გაკეთება; 8) ორის რკინის ნავთ-სადგურის გაკეთება ტუაპსესა და სოჩში და 9) შავის ზღვის ნაპირების მთიან ადგილების გასინჯვა, იმ აზრით რომ გაიგონ, სად შეიძლება დაასახლონ გადმოსახლებულნი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულობა ოფიციალურად უკვე გამოაცხადეს ტოკიოში; ამავე დროს, 10 მაისს, იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აიძულა იგი დაეკმაყოფილებინა რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის სურვილი და რად დასთმო ნახევარი კუნძული ლიაო-ტუნგი.

როდესაც უკვე მოხდა ჩვენი და ჩინეთის მორიგება, ამბობს იაპონიის მთავრობა, მაშინ რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ გვაუწყეს, რომ თუ ნახევარ კუნძული ლიაო-ტუნგი ჩვენ მფლობელობის ქვეშ გადმოვა, აღმოსავლეთს აზიაში მშვიდობიანობის დაცვა შეუძლებელი იქნება, და გვირჩიეს ხელი აგვეღო ზემოხსენებულს კუნძულზედ.

გვაქვს-რა დიდი სურვილი მშვიდობიანობის დამყარებისა აღმოსავლეთ-აზიაში, რომლის მიზეზიც იყო აგრეთვე აწ უკვე გათავებული ომი, ჩვენ, მარად მშვიდობის მოყვარულნი, ვასრულებთ ზემოხსენებულ სახელმწიფოთა წინადადებას და ხელს ვიღებთ მანჯურიის ნახევარ-კუნძულზედ.

ჩვენ არ გვინდა აღვძრათ ხელ-მეორედ ამბოხება. ეს დიდად შეაფერხებდა ჩვენს წინმსვლელობას ცივილიზაციის მხრივ. ჩვენ არ გვინდა დავარღვიოთ უკვე ჩამოვარდნილი მშვიდობიანობა და მორიგება. სწორედ ამან გვაიძულა, შეგვეწყნარებინა რუსეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის წინადადებაო.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ლონდონის გაზეთებს დიდად მოსწონთ გერმანიის პარლამენტის საქციელი, ის საქციელი, რომლითაც პარლამენტმა უარ-ჰყო მთავრობის მიერ წარდგენილი მძიმე კანონ-პროექტი და იმედოვნებენ, რომ გერმანიის მთავრობა მომავლისათვის ისარგებლებს ამ დამარცხებითაო.

„დაილ ქრონიკლ.“-ს სიტყვით იმპერატორს ეძლევა კარგი შემთხვევა ისევ კაპრივი მოიწვიოს, ან არა-და რჩევისათვის პარლამენტის ლიბერალურს წრეებს მიჰმართოსო. ამავე გაზეთის აზრით აწინდელის იმპერატორის მამა სწორედ ასე მოიქცეოდაო. მხოლოდაო,—დასძენს იგივე გაზეთი,—თუ იმპერატორმა პაპის მაგალითს მიჰბაძა, მაშინ მისს მოქმედებას სამწუხარო შედეგი მოჰყვება: პარლამენტის დედა აზრია, რომ ყოველივე სერიოზული საგანი თვით ქვეყანამ განიხილოს და, მაშასადამე, თუ იმპერატორი მცხოვრებთა უფლებას შეავიწროვებს, პარლამენტი არ მოუთმენს. გაზ. „დაილ ტელეგრაფ“-იც სწორედ ამ აზრისაა და უკვირს, რომ იმპერატორის დაახლოვებულებმა და კარის კაცმა საქმე ვერ შეიგნეს და წარსულის წლების დამარცხებით ჭკუა ვერ ისწავლესო.

„ტაიმსი“ ურჩევს გერმანიის მთავრობას: დამშვიდდეს და დამარცხება დაივიწყოს. „სტანდარდი“ ამბობს: „თუ რაიმე მძიმე კანონ-პროექტის შემოღება არის ხოლმე საჭირო ინგლისში, მინისტრებს ჩვეულებადა აქვთ თავისს მომხრეებთან ითათბირონ და საზოგადოების აზრს მაჯა გაუსინჯონო. კიდეც ეს არის მიზეზი, რომ ვერ გაგვიგია, რამ აიძულა გერმანიის მთავრობა პირ-და-პირ წარედგინა თავისი კანონ-პროექტი და ან რატომ წინათვე არ დაფიქრდა, შეიძლებოდა თუ არა ეს პროექტი პარლამენტს შეეწყნარებინა. გერმანიის იმპერატორს არა ერთხელ მიუმართავს თავისის ერისათვის და უთხოვნია „მე მენდეთო“, მაგრამ განა გერმანიის ერს წესი არა აქვს იგივე ნდობა მოსთხოვოს თავისს იმპერატორს? გერმანიის ერი საკმაოდ არის განვითარებულ-განათლებული და იმდენი თვით-ცნობიერებაცა აქვს, რომ თავისუფალ მსჯელობის უფლებას ასე ადვილად მას ვერავინ წაართმევს. გერმანიის მბრძანებელს შეუძლიან ზოგიერთს შემთხვევაში არ დაეთანხმოს პარლამენტის გარდაწყვეტილებას, მაგრამ მთელის ერის გრძნობაიდეალების წინააღმდეგობა-კი მეტად ძნელი საქმეაო“. „დაილ ნიუზი“ ამბობს: „პარლამენტის მიერ მთავრობისაგან წარდგენილის კანონ-პროექტის უარ-ყოფა ნათლად გვიჩვენეს, რომ გერმანიის ერის წარმომადგენლებს ეჭვი ჰქონიათ თავისის მთავრობის კეთილ განზრახვის შესახებ. ალბად პარლამენტი კარგადა გრძნობდა, რომ კანონ-პროექტის თითოეული მუხლი ერის თავისუფლების შევიწროებას შეეხებოდაო“.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

„ივერიის“ № 84-ში ახალ ამბების შორის ჩემ შესახებ მოხსენებული იყო, ვითომც სამუდამოდ დამენებებინოს თავი ჩემ მიერ დაარსებულ ლანჩხუთის უფასო სამკითხველოსათვის და ტფილისში გადმოვსახლებულიყო. მართალია სამკითხველო ბ-ნ გ. წილოსანს ჩავაბარე და მე ტფილისში ჩამოვედი, მაგრამ დროებით და არა სამუდამოდ. მე ფიქრადაც არ მომსვლია ჩემ მიერ დაარსებულ კეთილ საქმეზედ ხელი ამეღო.

ლანჩხუთის უფასო სამკითხველოს დამაარსებელთაგანი შალიკო ივ. ცინცაძე.

ქ. ტფილისი,
10 მაისი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 მაისი.

**სტამბოლი.** ხონთქარმა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს უბოძა „მეჯიდიეს“ ვარსკვლავი ბრილიანტებით მორთული, ხოლო გენერალ ობრუჩევს „ოსმანიეს“ ვარსკვლავი ბრილიანტებითვე მორთული.

**სოფია.** პარასკევს სტამბულოვი საზღვარ-გარედ აპირებს წასვლას.

**ლონდონი.** რიგიდგან წამოსული რუსეთის გემი „მიხეილი“ ზღვაში დაიღუპა. გემზედ მყოფნი, კაპიტნის გარდა, ყველა დაირჩო.

თეირანიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ „ტაიმს“-ს, რომ ქ. კუშანში თვალ-საჩინო უწესოება მოხდა. ამ უწესოების დროს მოჰკლეს გუბერნატორი და ექვსი მისი მახლობელიო.

12 მაისი.

**პეტერბურგი.** საღამოს 11 მაისს ბათუმში მიბრძანდნენ იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და მემკვიდრე ცესარევიჩი.

**ბათუმი.** დღეს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და მემკვიდრე ცესარევიჩი ბორჯომს მიბრძანდე’იან.

**ბერლინი,** 11 მაისი. „ჩრდილო-გერმანიის საზოგადო გაზეთს“ გაუგონია, რომ საფრანგეთსა, გერმანიასა და რუსეთს შორის მოლაპარაკება არის გამართული იმის შესახებ, თუ რამდენი ფულის გადახდა დაუწესონ ჩინეთს ლიატონგის ნახევარკუნძულის მაგიერ, რომელსაც იაპონია სთმობს.

**შანხაი,** 11 მაისი. ამბობენ, რომ ვითომ ჩინეთი უარს აცხადებდეს დამატებითი ომის ზარალი გადაუხადოს იაპონიას ლიატონგის ნახევარის კუნძულისათვის, რომელსაც იაპონია ისევ ჩინეთს უთმობს.

პეტერბურგის ბირჟა, 10 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულია. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,39 | — „ | 7, |
| 5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 207¹/ |
| 4¹/₂°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 101⁵/ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | — „ | — , |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | 99¹/₂ | — „ | — , |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | 101 „ | — „ | — , |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | 99¹/₂ | — „ | — , |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⁵/₈ | -- „ | —„ |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. [illegible] შჩერბინინისა,** 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ზ. კარაშეტიანცი,** 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7¹/₂ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**მარი ბროსსეს**

საქართველოს ისტორია.

ნაწილი პირველი, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ, გამოცემა ნიკ. ღოღობერიძისა. ფასი 70 კაპ.

(5—1.)


Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Мая 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე